ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №952490

ნომერი: AR1168975

თარიღი : 15.10.2013

გაცემის თარიღი : 17.10.2013

გაცნობის თარიღი : 18.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა წულაია პ/ნ 29001013751
- მარტვილი ს. ტალერი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013 წლის #935493 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 15 ოქტომბერს #AR1168975 განცხადებით მომართა ნიკა წულაიამ და მოითხოვა სამსახურის 08.10.2013 წლის #935493 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციისათვის პირველი სართულის გეგმის დამატება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013 წლის #935493 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს " ამხანაგობა ჩვენი სახლი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: #01.72.14.038.341) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 08 ოქტომბრიდან 2014 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, შესათანხმებლად წარმოდგენილი პროექტის ელექტრონულ ვერსიაში გამორჩენილი იქნა პირველი სართულის გეგმა. სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამორჩენილი პირველი სართულის გეგმა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ პირველი სართულის ფართობი გათვალისწინებულია საპროექტო ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, წარმოდგენილი პირველი სართულის გეგმა შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და სამსახურის 08.10.2013 წლის #935493 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაამატოს პირველი სართულის გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013 წლის #935493 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს 2013 წლის 15 ოქტომბერს #AR1168975 განცხადებით წარმოდგენილი პირველი სართულის გეგმა;
2. აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013 წლის #935493 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.